საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №10

2010 წ. „24“ 12

ქ. თბილისი

სსიპ – სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების გზით რეორგანიზაციის შედეგად სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 10849-ით.
2. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავტორიზებულად ჩაითვალოს 2012 – 2013 სასწავლო წლის დაწყებამდე.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის №2 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია